

საქმის აღწერილობა

კლარკი Daily Express-ის წინააღმდეგ

საჩივარი: პოლ კლარკმა პრესის სტანდარტების დამოუკიდებელ ორგანიზაციას (IPSO) Daily Express-ის წინააღმდეგ სარედაქციო ქცევის კოდექსის პირველი და მე-12 მუხლების დარღვევის გამო საჩივრით მიმართა. საჩივარი შეეხებოდა სტატიას, სათაურით “ბავშვებისგან მიგრანტებისთვის საჭმლის მომზადებას და დასუფთავებას ითხოვენ”, რომელიც ბეჭდვით გამოცემაში 2015 წლის 16 ოქტომბერს გამოქვეყნდა, ხოლო ონლაინ გამოცემაში, სათაურით “სკოლა ბავშვებს აიძულებს, შრომითი გამოცდილების შესაძენად, თავშესაფრის მაძიებელი ბავშვებისთვის საჭმელი მოამზადონ და დაასუფთავონ” - 15 ოქტომბერს.

სტატიის თანახმად, პრაქტიკული “შრომითი გამოცდილების მიზნით” 13 წლის ბავშვებისგან თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში მიგრანტებისთვის საჭმლის გაკეთებას და დასუფთავებას ითხოვდნენ. მასალის თანახმად, სასკოლო პროექტი გერმანიის ქალაქში ხორციელდებოდა და ბავშვების მშობლებში წინააღმდეგობას იწვევდა. სტატიში გამოყენებული იყო ერთ-ერთი მშობლის ფეისბუქ კომენტარი. კერძოდ: “მე ნამდვილად არ ვარ შეუწყნარებელი და ვარ ტოლერანტი, მაგრამ ეს მეტისმეტია. არის თუ არა ლუბეკის სკოლაში ახალი საგანი სახელად მომსახურება?” ამ პოსტს 2300 გაზიარება და 1000 კომენტარი მოჰყვა, ერთ-ერთმა მომხმარებელმა კი პროექტი მონობას შეადარა. სიტყვა მომსახურების გამოყენებას და მშობლის კრიტიკას სოციალურ ქსელში ფართო კონტექსტში ევროკავშირის შესახებ დისკუსია მოჰყვა.

ონლაინ ვერსია არსობრივად ბეჭდურის იდენტური იყო, თუმცა სათაურში და ქვესათაურში ფიგურირებდა სიტყვა “აიძულებენ” იმუშაონ თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრებში. სტატიაში ასევე მოცემული იყო სხვა მშობლის კომენტარი და გერმანიაში მყოფი ლტოლვილი ბავშვების ფოტოები. სტატიში ასევე იყო ფრაზა “ეს სკოლის იდეა იყო, რადგან ზოგიერთი ლტოლვილი იმავე კლასში სწავლობს”.

მომჩივანი დაობდა, რომ მედია საშუალებამ დაარღვია პირველი მუხლი (სიზუსტე), რადგან სათაური შეიცავდა არასწორ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბავშვებს აიძულებდნენ, თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში ემუშავათ. მისი განცხადებით, მუშაობის იდეა და ინიციატივა თავად სკოლის მოსწავლეებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც მათ კლასში ლტოლვილებმა სწავლა დაიწყეს. ამდენად, მომჩივანის აზრით, სათაური არასწორი და შეცდომაში შემყვანი იყო.

პოლ კლარკი ასევე დაობდა მე-12 მუხლის (დისკრიმინაცია) დარღვევის გამო, რადგან შეცდომაში შემყვანი სათაური ლტოლვილთა მიმართ რადიკალურ განწყობს და სიძულვილს აღვივებდა.

გაზეთის რედაქციის მტკიცებით, ამ ინიციატივას მშობლების წინააღმდეგობა მოჰყვა მას შემდეგ, რაც მათ სკოლა თანხმობისთვის დაუკავშირდა. მათი განმარტებით, ორივე სტატიის მიზანი მუშაობის ამ სქემაზე მშობლების რეაქციის და მათი თვალსაზრისის ჩვენება იყო, მათ შორის იმ მშობლის, ვინც სიტყვა “მომსახურება” გამოიყენა. გარდა ამისა, განათლების სამინისტრომ კომენტარში განაცხადა, რომ სკოლის მოსწავლეებს “ახალისებდნენ”, მონაწილეობა მიეღოთ პროექტში და ამდენად სტატიაში სიტყვა “ითხოვენ” შეცდომაში შემყვანი არ ყოფილა, რადგან იგი იძულებას არ გულისხმობდა.